ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲨᲕᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 278 (19420) ◆ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 4 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1985 ᲬᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲡ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲬᲚᲔᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲝ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲐᲣᲠᲓᲐ ᲡᲙᲙᲞ XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲠᲘᲗᲣᲚᲘ ᲨᲔᲡᲕᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲬᲠᲘᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲝᲡᲐᲛᲔᲠᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲠᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲛᲣᲨᲐ ᲑᲐᲗᲣᲜᲐ ᲑᲣᲩᲘᲫᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲜᲐᲓ ᲣᲧᲠᲘᲗᲔᲑᲓᲐ ᲓᲠᲝ.

Ⓣ. ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲫᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

● ●

ᲝᲩᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲯᲐᲓᲐᲓ ᲛᲘᲪᲔᲓᲜᲘᲡᲐ ᲨᲘᲡᲐᲤᲣᲗᲘ ᲭᲐᲠᲮᲜᲔᲑᲨᲘ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲔᲚᲘ ᲛᲔᲠᲘᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲘᲡᲝᲑᲘᲡ ᲪᲘᲪᲐᲠᲣᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲐᲦᲨᲘ ᲛᲝᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲓᲐᲠᲘᲜᲘ. ᲬᲘᲜᲐᲨᲘ ᲛᲝᲩᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲒᲐᲣᲩᲐᲠᲔᲑᲔᲗ ᲙᲚᲔᲛᲑᲣᲠᲜᲔᲑᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: ᲡᲝᲤᲔᲚ ᲛᲔᲠᲙᲘᲘᲡ ᲙᲚᲔᲛᲑᲣᲠᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲘᲪᲮᲠᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲓᲐᲠᲘᲜᲘ ᲩᲮᲔᲘᲫᲘ ᲛᲐᲜᲓᲐᲠᲘᲜᲔᲑᲡ ᲙᲠᲔᲓᲘᲡ.

Ⓢ. ᲡᲐᲑᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ. (ᲐᲙᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲐᲚᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ 1985 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფსაბჭომ და ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს სამინისტროების, უწყებების, ავტონომიური სს რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების წლის ცხრა თვის შედეგები და მიიღეს დადგენილება. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს მშრომელებმა, რომლებიც ერთსულოვნად იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის მარტის, აპრილის, ივნისისა და ოქტომბრის პლენუმების გადაწყვეტილებებს, ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისთვის.

ამლა შრომითს კოლექტივებში მიმდინარე პარტიულ კრებებსა და მშრომელთა კრებებზე, სადაც განიხილავენ სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის, სკკპ წესდებისა და სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986–1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიზანთუღებათა პროექტებს, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების კომენსატები, მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები აყენებენ კონკრეტულ წინადადებებს ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების თაობაზე. მთლიანად უკერენ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ავლენენ ახალ შინაგან რეზერვებს 1985 წლისა და მთელი მეთერთმეტე ხუთწლედის ამოცანათა ვადამდე ხანსრულებისათვის, მეთორმეტე ხუთწლედის დამდეგიდან წარმატებული მუშაობის მტკიცე საფუძველის შექმნისათვის.

111 ათასზე მეტმა მუშამ, 4 ათასმა ბრიგადამ, 117 საწარმომ, კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ უკვე შეასრულეს მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებანი, ხოლო 60 ათასმა მუშამ, 2 ათასმა ბრიგადამ და 42 შრომითმა კოლექტივმა — 1985 წლის დავალებანი.

რესპუბლიკის მრეწველობამ პროდუქციის წარმოება 9 თვის გეგმა 101,7 პროცენტით შეასრულა. გეგმის გადაჭარბებით დაშზადებულია 135,6 მილიონი მანეთის პროდუქცია. შრომისნაყოფიერება გაიზარდა 3,8 პროცენტით და პროდუქციის თვითღირებულება დამატებით შემცირდა — 0,51 პროცენტით. გამოშვებულია 758,5 მილიონი მანეთის 569 დასახელების სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი ნაწარმი, ანუ გეგმით გათვალისწინებული 11,2 პროცენტის ნაცვლად სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის 12 პროცენტი.

რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსმა წარმატებით შეასრულა ძირითად სახეობათა სოფლის მეურნეობის პროდუქციის, მათ შორის ხორცის, რძისა და კვერცხის წარმოებისა და შესყიდვის 9 თვის გეგმები. წარმატებით შესრულდა სახელმწიფოსათვის ჩაის ფოთლის მოყიდვის მიმდინარე წლის გეგმები.

განხილულ რა მასალები სამინისტროების, უწყებების, ავტონომიური სს რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფსაბჭომ და ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გამარჯვებულად ცნეს:

სამინისტოებსა და უწყებებს შორის

ᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲐᲜ	ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲜᲘ
საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო — საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო
საქართველოს სსრ ხაშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო — საქართველოს სსრ ხე-ტყის მრეწველობის სამინისტრო	საქართველოს სსრ ხე-ტყის მრეწველობის სამინისტრო
საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი — საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი	საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი
საქმთავარნერგო — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო	საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო
საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო — საქართველოს სსრ ხალხმოსტნეულის მეურნეობის სამინისტრო	საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო
საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო	საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო
საქმიდროენერგომშენი — საქმთავარწყალმშენი	საქმიდროენერგომშენი
საქმთავარმონტაჟსპეცმშენი — კავკასიის ელექტროენერგომშენი	საქმთავარმონტაჟსპეცმშენი
საქართველოს სსრ სახმამარაგება — საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტი	საქართველოს სსრ სახმამარაგება
საქართველოს სსრ სახანაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო — საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო	საქართველოს სსრ სახანაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო
საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო — საქართველოს სსრ გაზის სახელმწიფო კომიტეტი	საქართველოს სსრ გაზის სახელმწიფო კომიტეტი
საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სამინისტრო — საქართველოს სამოჰალაქო ავიაციის სამმართველო	საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სამინისტრო
საქართველოს საზღვაო სანაოსნო — ამერკავკასიის რკინიგზა	საქართველოს საზღვაო სანაოსნო

ᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲐᲜ	ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲜᲘ
ᲐᲡᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘ, ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲝᲚᲥᲘ	
აფხაზეთის ასსრ — აჭარის ასსრ	აფხაზეთის ასსრ
აფხაზეთის ასსრ — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი
ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘ	
ბათუმი — სოხუმი	სოხუმი
ზუგდიდი — მარნეული	ზუგდიდი
ჭიათურა — ტყიბული	ჭიათურა
ტყვარჩელი — ტყიბული	ტყიბული
გორი — ცხინვალი	ცხინვალი
ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ	
ჯავის — ონის	ონის
ასპინძის — შუახევის	ასპინძის
მესტიის — ორჯონიკიძის	ორჯონიკიძის
სამტრედიის — ხაშურის	სამტრედიის
თეთრი წყაროს — კასპის	თეთრი წყაროს
დმანისის — დუშეთის	დუშეთის
ბორჯომის — ჭ. წულუკიძის სონა	ბორჯომის
ბოგდანოვკის — საგარეჯოს	ბოგდანოვკის
გალის — აბაშის	აბაშის
გუდაუთის — ცხაკაიას	ცხაკაიას

ᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲐᲜ	ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲜᲘ
მახარაძის — ზუგდიდის	ზუგდიდის
მცხეთის — ბოლნისის	ბოლნისის
გარდაბანის — წითელწყაროს	წითელწყაროს
ჩოხატაურის — ლანჩხუთის	ჩოხატაურის
ლენტეხის — ჩხოროწყუს	ლენტეხის
გორის — ახალქალაქის	ახალქალაქის
თელავის — ზესტაფონის	ზესტაფონის
ახალციხის — ქობულეთის	ქობულეთის
ხობის — ხიდარის	ხობის
სოხუმის — ხელვაჩაურის	სოხუმის
ცაგერის — მაიაკოვსკის	ცაგერის
წალენჯიხის — ლაგოდეხის	წალენჯიხის
ყვარლის — ახმეტის	ყვარლის
ადიგენის — ხულოს	ადიგენის
ზუგდიდის — მარნეულის	ზუგდიდის
გულრიფშის — ქედის	გულრიფშის
ქობულეთის — ჭ. გაგჩის ზონა	ჭ. გაგჩის ზონა
ვანის — წულუკიძის	წულუკიძის
გურჯაანის — მარნეულის	გურჯაანის
ცხინვალის — წულუკიძის	წულუკიძის
ჭ. თბილისის ლენინის რაიონი — ჭ. ქუთაისის ლენინის რაიონი	ჭ. თბილისის ლენინის რაიონი
ჭ. თბილისის გლდანის რაიონი — ჭ. ქუთაისის ავტოხაჭარნი რაიონი	ჭ. თბილისის გლდანის რაიონი

აღინიშნა, რომ დადებითად იმუშავეს აჭარის ასს რესპუბლიკის, ქალაქების ქუთაისის, ბათუმის, გორის, ფოთის, დმანისის, წყალტუბოს, ლანჩხუთის, სიღნაღის, ხულოს, ვანის, ხაშურის რაიონების პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ, საქმთავარენერგომ, კავკასიის ელექტროქსელმშენმა, რომლებმაც შეასრულეს საგეგმო დავალებები და სოციალისტური ვალდებულებანი მეტ წილ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელთა მიხედვით.

სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი არ გამოვლენილნა:

— ქალაქებს ფოთსა და გორს, ქუთაისსა და რუსთავს შორის იმის გამო, რომ ვერ შეასრულეს საგეგმო დავალებები და ვალდებულებანი ცალკეული ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით; გეგმაქარიანა და ორაჩიჩარის რაიონებს შორის იმის გამო, რომ ვერ შეასრულეს ცალკეულ უმნიშვნელოვანეს სახეობათა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გეგმები, პროდუქციის რეალიზაციის გეგმები მიწოდების, მოგების ვალდებულებათა შესრულების გათვალისწინებით, შემცირდა შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი, გაიზარდა კადრების დენადობა და სამუშაო დროის დანაკარგები; ამბროლაურისა და სარჩერის, თერჯოლისა და სარჩერის, ზნაურისა და ჭარელის, ყაზბეგისა და ლენინგორის, თიანეთისა და წალკის რაიონებს შორის იმის გამო, რომ ვერ შეასრულეს გეგმა-ვალდებულებანი ცალკეული უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს, გაერთიანებების, საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო ხელმძღვანელებს, პირველადა პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ პარტიულ ორგანიზაციებსა და შრომთა კოლექტივებში პარტიის საყრილობო დოკუმენტების განხილვით გამოწვეული მშრომელთა პოლიტიკური აღმავლობა და შემოქმედებითი აქტიურობა გამოიყენონ დამატებითი შინაგანი რეზერვების ყველგან გამოვლინისათვის, 1985 წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების ვადამდე შესრულებისათვის.

რესპუბლიკური გაზეთებისა და ჟურნალების, რადიოსა და ტელევიზიის რედაქციებს დაეწალთ ფართოდ გაშუქონ სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილი მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფსაბჭომ და ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ ხუთწლედის დამამთავრებელ ეტაპზე რესპუბლიკის მშრომელები მიაღწევენ ახალ საწარმოო წარმატებებს, შეასრულებენ სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსშესანიშნავად გაშლილ შეჯიბრებაში ნაკისრ გადაღებულ სოციალისტურ ვალდებულებებს.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲡᲣᲡᲮᲘᲐᲜᲘ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘ:

ᲕᲘᲡᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ ᲒᲐᲫᲕᲘᲠᲓᲐ?

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ენერგეტიკულ ბალანსში ნავთობსა და მისი გადამუშავების პროდუქტებს დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია. გამოყოფილი ფონდების თანასწორად ნავთობპროდუქტების მიწოდება რესპუბლიკაში ძირითადად დამაკმაყოფილებლად ხორციელდება. ისეთ პირობებში, როდესაც ეკონომიკის შემდგომი განვითარება სათობი რესურსების სულ უფრო მეტ დანახარჯებს მოითხოვს, ნავთობპროდუქტების მომპირნე ხარჯვა წარმოების ზრდის უზრუნველყოფის უმთავრესი წყარო ხდება.

სათბობ-ენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხები ყურადღების ცენტრში აქვთ რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც საქვეუწყებო საწარმოებს განუსაზღვრავენ სათბობის ეკონომიის დავალებებს.

სახალხო მეურნეობის ყველა ობიექტში არის შესაძლებლობანი ბენზინისა და დიზელის საწვავის ეკონომიური, გეგმაზომიერი ხარჯვის უზრუნველსაყოფად, მათი მარაგის შესავსებად.

მაგრამ შემოწმებანი, რომლებსაც ჩვენი სახელმწიფო კომიტეტის შესაბამისი ინსპექცია აწყობს, მოწმობს, რომ ნავთობპროდუქტების ხარჯვის საქმე ცუდად არის დაყენებული. არცთუ იშვიათად სამინისტროები და უწყებები დროულად არ აცნობებენ საწარმო-ორგანიზაციებს ეკონომიის დავალებებს, დაგეგიანებით უგზავნიან საწვავის ხარჯვის ხვედრითს ნორმებს. მაგალითად, წლის დამდეგიდან შემოწმებულ 80 ორგანიზაციისაგან ეკონომიის დავალებანი არ გაუკეთიათ 27-თვის. მათ შორის არის საწარმოო გაერთიანება „საქსელდამზადების“ — ავტომატრანსპორტო საწარმო, რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სოხუმის რაიმრეწკომბინატი, ხრამის მეგენერატორების საბჭოთა მეურნეობა.

ბალანსზე ტრანსპორტის მქონე საწარმო-ორგანიზაციათა დამახასიათებელი ნაკლია საწვავის გადახარჯვა, მისი არადანიშნულებისამებრ გამოყენება, ნავთობის სასაწყობო მეურნეობის, აგრეთვე ავტომობილის სპიდომეტრების, ტარაქტორების მოტოსაათთა მრიცხველებისა და სხვა მექანიზმების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა.

მაგალითად, სახსოფლწარმოების და რესპუბლიკის ხილპოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს მეურნეობებში ასეთი ავტომობილებისა და ტრაქტორების რიცხვი შეადგენს 75 პროცენტს, საბუთი მეურნეობის სამინისტროში — 28 პროცენტს. მანქანების მოშობისა და საწვავის ხარჯვის აღრიცხვა ამ სამინისტროთა მეტ წილ საწარმოებში წარმოებს ინსტრუქციების დარღვევით, საგზურებსა და სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადებებში არ არის შევსებული ყველა გრაფა. ხშირად არ გაანჩინით ავტომობილებითა და მექანიზმებით შესრულებული სამუშაოს დოკუმენტური დადასტურება. ყოველივე ეს წამატებების, საწვავსაპობი მასალების უკონტროლო ხარჯვის, აღურიცხავი მასალის ზედმეტობის წარმოშობის პირობებს ქმნის. მაგალითად, შერჩევითი შემოწმებით 9 საწარმოში, მათ შორის „საქსოფლტრანსნის“ გაერთიანებების მცხეთის ავტოსატრანსპორტო საწარმოში, სამხრეთ ოსეთის ავტოტრანსპორტის გაერთიანების ცხინვალის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოში, გორის ავტოტრანსპორტის გაერთიანების № 2 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოში გამოვლინდა წამატებანი 255 ათასი ტონაკილომეტრის ოდენობით, უკანონოდ ჩამოწერა 17 ტონა საწვავი.

მეტ წილ შემოწმებულ ორგანიზაციებში არ ზრუნავენ ნავთობპროდუქტების ხარისხოვანი შენახვისათვის. ხშირად საწვავ-საპობი მასალების რეზერვუარები არ არის ჰერმეტული, ვაწყდებით ტექნიკური ხასიათის სხვა ნაკლოვანებებსაც, რის გამოც იკარგება დიდძალი ბენზინი. 10 ტუბური მეტრი ტეგადობის რეზერვუარში მარტო ერთი „სასუნთქი“ სარქველის უკონლობის გამო საწვავის ზენორმატიული დანაკარგები შეადგენს ორ ტონას წელიწადში, ასეთი სარქველის დაყენება კი სულ 117 მანეთი ჯდება. ხოლო წამში თუნდაც ერთი წვეთის გაჟონვას წელიწადში 1,2 ტონა საწვავის ზარალი მოაქვს. მარტო შედ შემოწმებულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოში დანაკარგებმა წლის მანძილზე 28 ტონა საწვავი შეადგინა. არის შემთხვევები, როდესაც დიზელის საწვავს იყენებენ შენობების გასათბობად. მაგალითად, ხაშურის მინის ქარხანაში ამ მიზნით დიახარჯა 21,8 ტონა, საწარმოო გაერთიანება „ბოლოეთში“ — 20,5 ტონა.

საჭიროა უწინარესად ნავთობსაწყობები აღიჭურვნ იაფი და არადეფიციტური მოწყობილობითა და ხელსაწყოებით, რაც შესაძლებლობას მოგვცემს დავამყაროთ მკაცრი აღრიცხვა და კონტროლი ნავთობპროდუქტების ხარჯვისადმი.

Რ. ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲫᲔ,
საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტების უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის სახნავთობინსპექციის უფროსის მოადგილე.

Ⓜ. Ⓢ. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲠᲝᲜᲐᲚᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ

3 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ კრემლში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის კენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და ზამბიის ეროვნული კავშირის — პატრიოტული ფრონტის პარტიის პრეზიდენტისა და პირველი მდივნის, ზამბიაშვილ რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის რობერტ მუგაბეს საუბარი.

საუბრის დროს გაგრძელდა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-ზამბიაშვილ ურთიერთობისა და საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთ საკითხზე.

ორივე მხარემ გამოთქვა რწმენა, რომ სასარგებლო და საჭიროა ორი ქვეყნის ხელმძღვანელობა პირადი შეხვედრები, რომ დაინტერესებული არიან კვლავაც განავითაროონ საბჭოთა კავშირ-ზამბიაშვილ სხვადასხვა დონის კონტაქტები.

საუბარმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

(ᲡᲐᲙᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ).

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ. (ᲡᲐᲙᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ).



ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲤᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ სფსრ უმაღლესი საბჭოს სესია განიხილავს რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის სახელმწიფო გეგმასა და რესპუბლიკის ბიუჯეტს. იგი 3 დეკემბერს გაიხსნა მოსკოვში კრემლის დიდ სასახლეში.

დეპუტატები მჭეხრე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს მ. ს. გორბაჩოვს, ვ. ვ. გრინინს, ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, ი. კ. ლიგაჩოვს, ნ. ი. რიჟკოვს, მ. ს. სოლომენცევს, ე. ა. შევარდნაძეს, ვ. მ. ჩებრიკოვს, ვ. ნ. დემიჩევს, ვ. ი. დოლგიხს, ვ. ვ. კუზნეცოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, ნ. ვ. ტალონსს, ბ. ნ. ელცინს, მ. ვ. ზიმიანინს, ი. ვ. კაბანოვოს, ვ. პ. ნიკოლოვს.

რუსეთის სფსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის სახელმწიფო გეგმისა და 1985 წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოხსენებები გააკეთა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბორის პაბლოვმა, რუსეთის სფსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ დეპუტატმა ნ. ი. მასლენიკოვმა.

სესიაზე რუსეთის სფსრ 1986 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და რუსეთისა და ყოფილ 1984 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენება გააკეთა რუსეთის სფსრ ფინანსთა მინისტრმა ალევტინა ტიმოფეევამ.

შემდეგ დეპუტატები შეუდგნენ მოხსენებების განხილვას. 4 დეკემბერს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სესია მუშაობას განაგრძობს. (ᲡᲐᲙᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ).

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲒᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ

2 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა. ა. გრომიკოს შეხვედრა რ. მუგაბესთან და მის თანმხლებ პირებთან.

საუბრისას, რომელმაც მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა, საბჭოთა მხარემ ხაზი გაუსვა, რომ სსრ კავშირში პატივისცემით ეკიდებიან ზამბიაშვილ რესპუბლიკის ანტიიმპერიალისტურ და ანტირასისტულ საგარეო-პოლიტიკურ კურსს, მის მისწრაფებას ღირსეული წვლილი შეიტანოს მშვიდობის ხელმტკიცების, ბირთვული ომის თავიდან აცილების საქმეში. სსრ კავშირი აფასებს იმას, რომ ზამბიაშვილ მხარს უჭერს საბჭოთა საშშედობთა ინიციატივებს, ითვალისწინებს იმასაც, რომ ამ მხარდაჭერას იჩენს სახელმწიფო, რომელსაც საერთაშორისო სარბიელზე დიდი ავტორიტეტი აქვს, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, იგი ახალგაზრდაა.

პრეზიდენტ-მინისტრის ყურადღება მიეპყრო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის ერნეების შეხვედრის შედეგების შესახებ. ამ ერნეებ ერნეებ მოდამ „ფრონტსპირა“ სახელმწიფოთა მხარეზეა, რომელსაც განეკუთვნება ზამბიაშვილ, და საჭიროა მიიჩნევს დაუყოვნებლივ მიენიჭოს დამოუკიდებლობა ნამიბიას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებათა მიხედ ერთობლიობის საფუძველზე.

ა. ა. გრომიკომ და რ. მუგაბემ გამოთქვეს რწმენა, რომ საბჭოთა კავშირ-ზამბიაშვილ კონტაქტები ყველა დონეზე, მათ შორის პარლამენტების ხაზით, არსებობის პოზიტიურ წვლილს შეიტანს ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობის განვითარებაში.

* * *

კრემლში გაიმართა ნ. ი. რიჟკოვისა და რ. მუგაბეს მოლაპარაკება.

ნ. ი. რიჟკოვმა რ. მუგაბეს აცნობა, თუ რა წარმატებებს მიაღწია საბჭოთა ხალხმა სოციალისტური შენებლობის სხვადასხვა სფეროში, როგორ ხორციელდება სსრ კავშირში სოციალიზმის ყოველმხრივი სრულყოფის გეგმები, როგორ მიმდინარეობს სკკპ XXVII ყრილობისათვის მზადება და საყრილობო დოკუმენტების საყოველთაო-სახალხო განხილვა.

თავის მხრივ რ. მუგაბემ ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა მუშაობა მიმდინარეობს ზამბიაშვილ აფრიკელთა ეროვნული კავშირის — პატრიოტული ფრონტის პარტიის II ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, რომლებთაც დაისახა სოციალიზმის მშამრთულებით ზამბიაშვილ საზოგადოების პროგრესული განვითარების ამოცანა

პარტიული ცხოვრება: რაიონულ და საქალაქო კონფერენციებზე

ექსპერიმენტი ციფრებს ასახელებს...

ჩვენი რესპუბლიკის რაიონებს შორის მესტიის პირველი ადგილი უჭირავს ტერატორიის სიდიდით, სამაგიეროდ იგი ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით. ამ სავარგულებში ძალიან პატარა ნაწილზე თუ შეიძლება ხვნა-თესვა, მთელი დანარჩენი ტერიტორია ძირითადად სათიბად გამოიყენება. ამ და სხვა მრავალი მიზეზის გამო სოფლის მეურნეობის ის დარგები, რომლებსაც აქ მისდევენ, თითზე ჩამოითვლება. მთავარია მესაქონლეობა — მსხვილფეხა პირუტყვის მოგალ-შენახვა, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. ამიტომ, ბუნებრივია, პარტიის რაიონული კომიტეტი, რაიონის თითოეული პირველადი რგოლი დიდი პასუხისმგებლობის წინაშე დგანან, რათა ბუნებრივი პირობებით გამოწვეული სიძნელეები დაძლიონ და თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ ჩვენი ქვეყნის სასურსათო პროგრამის განხორციელებაში.

მიმდინარე ხუთწლედში რაიონმა სახელმწიფოს მიჰყიდა 3.800 ტონა ხორცი, რაც 250 ტონით სჭარბობს სგეგმბოს, სახელმწიფოსთვის რძის მიყიდვის დავალება შესრულდა 4 წელიწადსა და ცხრა თვეში, თანაც — მნიშვნელოვანი გადაჭარბებით. რაც შეეხება რძის წარმოებას ამავე პერიოდისთვის, აქ გეგმის გადამეტებით მიღებულია 291 ტონა. ასევე გადაჭარბებით შესრულდა თითოეული ფურის საშუალო წველადობა და ნამატის გეგმა. იყო პირუტყვის გაწყდომამ.

შედეგები მართლაც უტიგარ არ არის, მაგრამ ეს ისა როდი ნიშნავს, რომ რაიონის პარტიულ ორგანიზაციამ თვითკმაყოფილების განწყობილება იყოს. პარტიის რაიკომი ეძებს მუშაობის უფრო მოქნილ და ქმედითს ფორმებს ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად. მისი თვალთახედვის არეშია პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის გადიდება, კადრების სწორი შერჩევა, აღზრდა და განაწილება.

როგორც პარტიის რაიკომის საანგარიშო მოხსენებაში, ისე დელეგატთა გამოსვლებში მოყვანილი ფაქტებიდან აშკარად გამოჩნდა ისიც, რომ მესტიელ კომუნისტებს, აქაურ მეცხოველეებს, საკვებმომპოვებლებს ჯერ კიდევ ბევრი საბრძოლოდ ლი ადგათ. ავიღოთ თუნდაც მეცხოველეთა და, მით უმეტეს, მთის რეგიონის მეცხოველეთა ერთ-ერთი ყველზე მტკივნეული პრობლემა — საკვების დამზადება-მომარაგება. მარშან უნდი საკვების დამზადების გეგმის ლაბამურის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობამ დააკლო 351, ბეჩოსამ — 377, ნაკრისამ — 348, ხაიშის მეურნეობამ — 160 ტონა. მართალია, ამ ნაკლოვანებებზე იმსჯელა პარტიის რაიკომმა, შესაბამის პირველად პარტიულ ორგანიზაციათა მდივნებსა და კომენსატებსაც მოეკითხათ, მაგრამ არა საკმარო პრინციპულობითა და სიმკაცრით. ეს იქედან ჩანს, რომ მომდევნო 1985 წელსაც კვლავ იგივე განმეორდა. აპრეგრად „თავი გამოიჩინეს“ ცხემარის, ლაბამურის და სხვა მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებმა. ერთი სიტყვით, 1984-85 წლებში აქ ჩამოთვლილმა მეურნეობებმა საგეგმოს დააკლეს 1900 ტონა უხეში საკვები, რითაც შეეძლოთ ეწარმოებინათ 500 ტონა რძე და 100 ტონა ხორცი!

• • •

კონფერენციაზე მოსული რაიონის კომუნისტების მხურვალე მსჯელობის საგანი, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, გახდა მეცხოველეობა და განსაკუთრებით მისი ერთ-ერთი ასპექტი — რაიონში ორიოდე წლის წინათ დანერგილი ბუნებრივ-ხელოვნური ნაყოფიერების ავ-კარგსა და ბედ-იღბალზე ბევრს ბჭობენენ არა მარტო თვით კონფერენციაზე, არამედ მის დაწყებამდეც. თანაც ყველანი და ყველგან. ეს გასაგებიც არის, რადგან მესტიის რაიონის ორ საბჭოთა მეურნეობაში დანერგილმა ამ ექსპერიმენტმა თუ საბოლოოდ გაიმარჯვა და ყველას ნდობა მოიპოვა, მაშინ შეიძლება იგი გავრცელდეს არათუ თვით მესტიის ყველა საბჭოთა მეურნეობაში (რასაც ასე დამკვიდრებით ითხოვენ ამ მეურნეობათა მშრომელები), არამედ რესპუბლიკის სხვა მთიან რაიონებშიც.

ამტომ მესტიის მესტიის რაიონულ კომიტეტს, თითოეულ კომუნისტს, განსაკუთრებით კი ამ ექსპერიმენტულ მეურნეობათა პარტიულ ორგანიზაციებს დიდი მუშაობა, პასუხისმგებლობა და სიფრთხილე მართებთ, რათა სწორად შეფასდეს ექსპერიმენტის დადებითი და უარყოფითი მხარეები, არ დაუშვან აჩქარება.

მაინც რა არის ოჯახური იჯარა, მისი არსი, მიზნები და შედეგი, ამასთან დაკავშირებით რა ამოცანის წინაშე დგანან რაიონის კომუნისტები?

1983 წლის 12 იულისს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება მესტიის რაიონის იფარისა და უშგულის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებში ექსპერიმენტის სახით სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ოჯახური იჯარის წესის დანერგვის შესახებ. პრაქტიკულად ამ ახალ სისტემაზე მეურნეობები იმავე წლის ოქტომბრიდან გადავიდნენ. რით იყო ნაკარნახები ეს ექსპერიმენტი და ისიც მესტიიდან 20 და 43 კილომეტრით დაშორებულ, ზეკეთი, ენგურის სათავეში მდებარე იფარსა და უშგულში? საქმე ის არის, რომ ჩვაკი კლიმატურ-ტერატორიული პირობების გამო ამ ორ სოფელში მსხვილფეხა მეცხოველეობის „გარდა სხვა რომელიმე დარგის განვითარება შეუძლებელია.“ ამიტომ მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებში დასაქმებული იყო მოსახლეობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი, დანარჩენთა საქმიანობა კი განისაზღვრებოდა მარტო თვის დამზადებით, ისიც ორი-სამი თვით და სეზონზე მათი საშუალო გამომუშავება 80-120 მანეთს შორის მერყეობდა. დანარჩენი 8-9 თვე მოსახლეობის 80-85 პროცენტი დაუსაქმებელი იყო. მაგრამ მთიელი კაცი და — უსაქმოდ ჯდომა?! ამიტომ დაიწყო მიგრაცია: იფარის სასოფლო საბჭოში შემავალი ოთხი სოფლიდან — იფარი, ადიში, ზეკეთი, ეული — 1973-1983 წლებში ბარის სხვადასხვა რაიონში საცხოვრებლად გადასახლდა 193 კაცი. ამიტომ საჭირო გახდა ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომელთა დროსაც ყველა შრომისუნარიანი მოსახლე „ტიტარ საქმიანობაში ჩაებმებოდა. დღის წესრიგში დადგა ოჯახური იჯარა. საბოგადოებრივ მეურნეობათა პირუტყვი მიუჩინეს ოჯახებს შრომისუნარიანი წევრების, მათი სუფრიელის გათვალისწინებით. უმგულში მოსახლეობას მიუჩინეს 570, იფარში — 954 სული ყველა სახის მსხვილფეხა პირუტყვი. საქონლის სულადობის ბიზედეთი თითოეულ ოჯახს საკარმიდამო ნაკვეთს გარდა გამოეყო სასოფლო-სამეურნეო სავარგული. მეურნეობის დირექციასა და ოჯახის უფროსს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელშიც ჩაბოლოდა ბხარეთა უფლება-მოვალეობანი და ვალდებულებები.

მეურნეობის დირექცია ვალდებულია პროდუქტების ჩაბარებიდან 10 დღის განმავლობაში მოსახლეს გადაუხადოს მისი ფულადი ღირებულება დადგენილი წესის მიხედვით, მოსახლეობა მოამარაგოს კომბინირებული საკვებით და იმ საშენი მასალებით, რომლებიც პირუტყვის სადგომის შშენებლობას სჭირდება. დირექცია ასევე მოვალეა უფასო საავტომობილო და აგროზოოვეტმომსახურება გაუწიოს მოსახლეობას. თუ ექსპერიმენტში ჩაბმულთა ოჯახმა ვერ შეასრულა ან დაარღვია ხელშეკრულების რომელიმე პუნქტი, დირექციას უფლება აქვს ნაწილობრივ შეუმციროს ან მთლიანად ჩამოართვას მიჩენილი პირუტყვი და სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

თავის მხრივ, ოჯახი ვალდებულია სათანადოდ მოუროს პირუტყვსა და სავარგულ, სავარგული გამოიყენოს მხოლოდ დანიშნულებისამებრ, მეურნეობას დადგენილ ვადაში და დადგენილი რაოდენობით ჩაბაროს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, არ გამოიყენოს დაქირავებული შრომა.

გვიდია ორი წელიწადი და ოჯახურმა იჯარამ მეერი საჭირბოროტო საკითხი დადებითად გადაწყვიტა. გაიზარდა მოსახლეობის მატერიალური დაინტერესება, პროდუქციის წარმოების სფეროში პრაქტიკულად ჩაება თითქმის მთელი მოსახლეობა, შეწყდა მიგრაცია. ექსპერიმენტამდე მეურნეობის ფულადი შემოსავლის უდიდესი ნაწილი ხმარდებოდა დროით ანაზღაურებაზე მომუშავე მუშა-მოსამსახურეებს და მეცხოველეობის ფერმებში დასაქმებულ მომსახურე პირნარილის ტიპიერ რაოდენობას, საბჭოთა მეურნეობებში საგრანტოდან შემცირდა ერთობ გაბერილი სამმართველო აპარატი. მაგალითად, იფარში 23 ერთეულით (24000 მანეთი წლიური ეკონომია), უშგულში 27 ერთეულით (29000 მანეთი წლიური ეკონომია). გამარტივდა აღრიცხვა და მართვა. კარგი პირი დადგა პროდუქტების დამზადებას. მაგალითად, შარშან უშგულის საბჭოთა მეურნეობამ სახელმწიფოს საგეგმო 86 ტონის ნაცვლად მიჰყიდა 89 ტონა ხორცი და 208 ტონა რძე, ნაცვლად 155 ტონისა. საინტერესოა, რა მდგომარეობა იყო ექსპერიმენტამდე? მაგალითად, იგივე უშგულელებმა 1981 წელს ჩაბარეს 52 ტონა ხორცი, გეგმა კი 64 ტონას ითვალისწინებდა. რძის ჩაბარებაც უნუგეშო იყო: გეგმა 174, ფაქტობრივი — 111 ტონა. დაახლოებით ანალოგიური მდგომარეობა იფარის საბჭოთა მეურნეობაშიც.

მკვეთრად განსხვავდა ოჯახების წლიური შემოსავალი. მაგალითად, 1983 წელს იფარელი კომუნისტის ს. ხვინტანის ოჯახის წლიური შემოსავალი 687 მანეთს შეადგენდა. შარშან კი ეს ციფრი 5.220 მანეთამდე, ესე იგი 7-ჯერ გაიზარდა.

დიახ, შედეგები ურიგო არ არის. მაგრამ სათანადო იჯარის დღესდღეობით მაინც გაიჩნია ისეთი ნაკლოვანი მხარეები, რომლებიც უეჭველად კომეწინააღმდეგეს მეურნეობებს ყველაზე ყურადღებას მოითხოვს ყველა ოჯახი სათანადო პასუხისმგებლობით როდი ეკიდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს — დანიშნულ დროსა და დადგენილი ოდენობით არ ამარებს სოფლის მეურნეობის პროდუქტებს, ანდა არ ამზადებს უხეში საკვების იმ მარაგს, რომელიც მისთვის მიჩენილ პირუტყვს უნდა ეყოს ზამთარში.

თავის მხრივ მეურნეობის დირექციაც სცოდავს ხოლმე. აი, ექსპერიმენტის დაწყებიდან თითქმის ორ წელზე მეტი გავიდა და დღემდე ერთი მანეთის საშენი მასალაც არავისთვის მიუყიდია. განა რაიონის კომუნისტები, პარტიული კომიტეტი მოვალენი არ არიან „ერიან გაარკვონ — სად იხარჯება ფინდოთ გათვალისწინებული ეს მასალები?

ასევე შესასწავლი და გადასაჭრელია ერთი მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც თვით პრაქტიკამ წამოაჭრა: რაკი მოსახლეობას შიეძლია პირუტყვი, გამოეყო სასოფლო-სამეურნეო სავარგული, ხომ არ აჯობებდა, რომ სეზონურად რამდენიმე, მაგალითად, 5-7 ოჯახს, ასევე მისცენ მთის პირობებისათვის შესაფერისი რომელიმე მარკის სატრაქორო ავტომანქანა, რაც ყველაფერში ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევდა მეცხოველეებს. აი, თუნდაც მარტო თავის დამზადება აკეოოთ: სეზონის უზარმაზარ სათიბებს ჯერ-ჯერობით ერეკა მთელის მარკვნა და ცელი, მაგრამ მამაპაპური, მცირე ტევადობის ჩოჩიანი ურემმარხილებით ვეღარ ასწრებენ თივის ჩამოზიდვა-დაბინავებას და მისი ძნიშვნელოვანი ნაწილი თოვლქვეშ იღუბება.

გარდა ამისა, მოსახლეობის კულტურულ და საყოფაცხოვრებო სფეროში ბევრი საკითხია მოსაგვარებელი. ჯერ კიდევ არის სოფლები, რომლებიც შეფფრხეობი მარაგდებიან პირველი მოთხოვნილების სასურსათო პროდუქტებით თუ სხვა საოჯახო-სამეურნეო საქონლით და ინვენტარით. ამ თვალსაზრისით სუსტია კონტროლი მიღებული დადგენილებების შესრულებისადმი. რაიონის მოსახლეობის მხოლოდ 20 პროცენტია რადიოფიცირებული, 24 დასახლებული უბანი მოკლებულია კინომომსახურებას. საკლუბო დაწესებულებებს უმეტესობა თავისი ფუნქციებისათვის შეუფერებელ შენობებშია მოთავსებული და თან არც თბება. რაიონული კულტურის სახლი ამორტიზებულია, ამიტომ ღონისძიებები იმართება 200-ადგილიან კინოთეატრში. რაიონის 49 ბიბლიოთეკიდან 21 ნაკრავებ შენობაშია. არის სხვა ნაკლოვანებებიც.

ერთი სიტყვით, როგორც ეზიდავთ, რაიონში ბევრი საჭირბოროტო პრობლემაა, რომლებზეც გამეფდებული მუშაობა სწორედ ადგილობრივ კომუნისტებს მართებთ. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ უმეტეს დელეგატთა გამოსვლებში ეარმბოდა ზოგადი მსჯელობა, თხოვნა და პრეტენზიები ზემდგომი ორგანოებისა თუ რესპუბლიკის სხვადასხვა უწყებისადმი, ხოლო თავიანთი პირველადი რგოლის, თითოეული კომუნისტის უშიალო ნაკლოვანებებსა და ამოცანებს, ინიციატივას, პარტიული პრინციპულობას, დადგენილების შესრულების შემოწმებას და ურთიერთმომოკითხვლობას ნაკლებად ეხებოდნენ.

პარტიის მესტიის რაიონული კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის აფრო-სამრეწველო კომპლექსის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. რუხაძემ.

ჯ. მეხრიშვილი.

პარტიული კომიტეტების ანგარიშებზე

რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში დიდი აქტიურობის ვითარებაში გრძელდება საანგარიშო პარტიული კონფერენციები, იმართება ახლად არჩეული პარტიული კომიტეტების პირველი პლენუმები.

ბაიმართა თბილისის საქარხნო რაიონის პარტიული კონფერენცია.

ახლად არჩეული რაიკომის პირველმა პლენუმმა პარტიის თბილისის საქარხნო რაიკომის პირველ მდივნად აირჩია **ბ. შ. შოშტაიშვილი,** მეორე მდივნად არჩეულია **გ. ვ. მახარაძე,** მდივნად — **ი. ა. ბოროდულინა.**

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **ბ. ვ. ნიკოლაკაძემ.**

• • •

ბაიმართა გორის საქალაქო პარტიული კონფერენცია.

ახლად არჩეული საქალაქო კომიტეტის პირველ პლენუმზე საქართველოს კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩეულია **დ. გ. ჩუბინიშვილი,** მეორე მდივნად — **ა. ა. კორვალიძე,** მდივნად — **ნ. ა. ზაუტაშვილი.**

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **გ. ა. ანდრონიკაშვილმა.**

• • •

ბაიმართა თბილისის საბურთალოს რაიონის პარტიული კონფერენცია.

პარტიის თბილისის საბურთალოს რაიკომის პირველ მდივნად ახლად არჩეული რაიკომის პირველმა პლენუმმა აირჩია **ი. ი. ხუციშვილი,** მეორე მდივნად — **დ. დ. ბოჭაგუა,** მდივნად — **ვ. ვ. კავაძე.**

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ნ. ა. ჭითანავამ.**

• • •

ბაიმართა სოხუმის საქალაქო პარტიული კონფერენცია.

ახლად არჩეული საქალაქო კომიტეტის პირველ პლენუმზე საქართველოს კომპარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩეულია **გ. ვ. კოჩიევი,** მეორე მდივნად — **ბ. ი. მაციაშვილი,** მდივნად — **ვ. ვ. ტოლკაჩოვა.**

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **ფ. ს. სანაკოევმა.**

• • •

ბაიმართა თბილისის ოქტომბრის რაიონის პარტიული კონფერენცია.

პარტიის თბილისის ოქტომბრის რაიკომის პირველ მდივნად ახლად არჩეული რაიკომის პირველი პლენუმმა აირჩია **ა. ი. აზროვი,** მეორე მდივნად — **ვ. მ. ოანკოფაკია,** მდივნად — **გ. მ. სეკანია.**

• • •

ბაიმართა აბაშის რაიონული პარტიული კონფერენცია.

ახლად არჩეული რაიკომის პირველმა პლენუმმა საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია **გ. ი. გუნავა,** მეორე მდივნად აირჩეულია **რ. ი. კიზირია,** მდივნად — **დ. ვ. ელიავე.**

• • •

ბაიმართა ადიგენის რაიონული პარტიული კონფერენცია.

ახლად არჩეული რაიკომის პირველ პლენუმზე საქართველოს კომპარტიის ადიგენის რაიკომის პირველ მდივნად აირჩეულია **ჯ. მ. ნაკაშიძე,** მეორე მდივნად — **ვ. ს. თათოშვილი,** მდივნად — **ნ. დ. მეტრეველი.** (საქინფორმი).

ხორცშესხმული გეგმები

ბაივლის ცოტა ხანი და დამთავრდება მეთერთმეტე ხუთწლედი. სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებიდან სულ უფრო ხშირად მოდის ხუთწლედის დავალებათა შესრულების პატაკები. სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახული რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა დაძაბულია. მით უფრო მეტი საფუფძველი გვაქვს ვიამაყოთ, რომ ეს მნიშვნელოვანი დავალებანი უკვე შესრულებულია ან საცაა შესრულდება.

რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, წინასწარი გაანგარიშებებით, სამრეწველო პროდუქციის წარმოება, როგორც გთვალისწინებული იყო, წლის დამლევისათვის 30 პროცენტით გაიზრდება და მიმდინარე წელს 11,5 მილიარდ მანეთს მიაღწევს. მანქანათმშენებლობის პროდუქციის ზრდის ტემპი ერთიორად აღემატება ანეთსავე მაჩვენებელს მთლიანად რესპუბლიკის ინდუსტრიაში.

განვითარების გზაზე ახალი ნაბიჯი გადადგეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განმსაზღვრელმა დარგებმა, როგორიც არის ელექტროტექნიკური, ელექტრონული და რადიოტექნიკური მრეწველობა, ხელსაწყოთმშენებლობა. წარმოების განახლებასა და რეკონსტრუქციას მოხმარდა მილიარდ-ნახევარი მანეთი. მოდერნიზებულია 8,5 ათასი ერთეული ტექნოლოგიური მოწყობილობა, დაინერგა 450-ზე მეტი მექანიზებული ხაზი. რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის საწარმოებში დაიდგა 220 რობოტი და ავტომატური მანიპულატორი, 600-ზე მეტი რიცხვული პროგრამული მართვის ჩარხი.

განსაკუთრებულ იზრდება რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის როლი. სრულდება მეტი წლილი სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების საგეგმო დავალებანი. კიდევ უფრო გაიზარდა სოფლის მშრომელთა ზეგეგმოვნი ყუნანი: ისინი ხუთწლედში სახელმწიფოს ჩაბარებენ დაახლოებით 840 ათასი ტონით მეტ ხარისხოვან ჩაის ფოთოლს, ვიდრე დავალებით არის გათვალისწინებული, დიდძალ ეკონომიას ამ სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებს.

რესპუბლიკის ოჯახები ერგებიან ახალი მძლავრი საწარმოები და სატრანსპორტო არტერიები, ენერგეტიკული კომპლექსები და საცხოვრებელი მოკრძალებული ნაგებობანი. ამ ექსპერიმენტების ავ-კარგსა და ბედ-იღბალზე ბევრს ბჭობენენ არა მარტო თვით კონფერენციაზე, არამედ მის დაწყებამდეც. თანაც ყველანი და ყველგან. ეს გასაგებიც არის, რადგან მესტიის რაიონის ორ საბჭოთა მეურნეობაში დანერგილმა ამ ექსპერიმენტმა თუ საბოლოოდ გაიმარჯვა და ყველას ნდობა მოიპოვა, მაშინ შეიძლება იგი გავრცელდეს არათუ თვით მესტიის ყველა საბჭოთა მეურნეობაში (რასაც ასე დამკვიდრებით ითხოვენ ამ მეურნეობათა მშრომელები), არამედ რესპუბლიკის სხვა მთიან რაიონებშიც.

ამტომ მესტიის მესტიის რაიონულ კომიტეტს, თითოეულ კომუნისტს, განსაკუთრებით კი ამ ექსპერიმენტულ მეურნეობათა პარტიულ ორგანიზაციებს დიდი მუშაობა, პასუხისმგებლობა და სიფრთხილე მართებთ, რათა სწორად შეფასდეს ექსპერიმენტის დადებითი და უარყოფითი მხარეები, არ დაუშვან აჩქარება.

მაინც რა არის ოჯახური იჯარა, მისი არსი, მიზნები და შედეგი, ამასთან დაკავშირებით რა ამოცანის წინაშე დგანან რაიონის კომუნისტები?

